საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნების კამპანიის დაფინანსება

(შუალედური ანგარიში)

პარტიების შემოსავლები, ხარჯები და ფინანსებზე ზედამხედველობა

ოქტომბერი, 2024

კვლევის ავტორები

სანდრო ბარამიძე, ბესო ნამჩავაძე, გიგი ჩიხლაძე

კვლევის ხელმძღვანელი

სანდრო ბარამიძე

ამ ანგარიშის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“, USAID-ის მეშვეობით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და შესაძლოა, არ ასახავდეს USAID-ის ანდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

სარჩევი

ძირითადი მიგნებები 4

შესავალი 6

1. საკანონმდებლო ჩარჩო 8

1.1. პარტიების შემოსავლების მარეგულირებელი ჩარჩო 8

1.1.1. სახელმწიფო დაფინანსება 9

1.1.2. კერძო დაფინანსება 9

1.2. პარტიების ხარჯების მარეგულირებელი ჩარჩო 10

2. პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული შემოსავლების მიმოხილვა და ანალიზი 11

2.1 სახელმწიფო დაფინანსება 12

2.2 შემოწირულებები 13

2.2.1 პოლიტიკური კორუფციის მაღალი რისკის შემცველი შემოწირულებები 14

3. საარჩევნო სუბიექტების მიერ გაწეული ხარჯები 21

3.1. საარჩევნო სუბიექტების მიერ გაწეული ხარჯების მიმოხილვა 21

3.2. რეკლამის ხარჯები 22

3.3. სხვა ხარჯები 23

4. ფინანსების გამჭვირვალობა და მათზე ზედამხედველობა 24

4.1. ანტიკორუფციული ბიუროსათვის დამატებითი უფლებამოსილებების მინიჭება 24

4.2. ანტიკორუფციული ბიუროს საზედამხედველო საქმიანობა 25

4.2.1. ანტიკორუფციული ბიურო სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ 25

4.2.2. ანტიკორუფციული ბიუროს მიერ განხორციელებული ზედამხედველობის გამჭვირვალობა 27

ძირითადი მიგნებები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" მიერ წინასაარჩევნო პერიოდში 8 საარჩევნო სუბიექტის დაფინანსების შესწავლის შედეგად კვლავ გამოიკვეთა **„ქართული ოცნების" მკვეთრი ფინანსური უპირატესობა** სხვა პარტიებთან შედარებით.

ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია წინასაარჩევნო პერიოდში გაწეული ხარჯებიდან - **მმართველმა პარტიამ იმაზე მეტი დახარჯა ვიდრე ყველა სხვა პარტიამ ერთად აღებული (53%)**, რასაც განაპირობებდა წლის დასაწყისიდან მიღებული **შემოწირულებების დიდი რაოდენობა (13.4 მლნ ლარი).**

კვლავ შეშფოთებას იწვევს სისტემური კორუფციის ნიშნები მმართველი პარტიის მიერ შემოწირულებების მოზიდვის პროცესში. **დონორების მნიშვნელოვანი ნაწილი** შემოწირულების პარალელურად **მრავალმილიონიან სახელმწიფო კონტრაქტებს და სუბსიდიებს იღებენ**. **ანტიკორუფციული ბიურო ასეთი შემოწირულებებით არ ინტერესდება**, თუმცა ის წინასაარჩევნო პერიოდში ავიწროვებს სადამკვირვებლო ორგანიზაციებს და პირდაპირ ასრულებს პრემიერ-მინისტრის დავალებებს, რითაც საბოლოოდ ძირს უთხრის მის მიმართ ნდობას.

პარტიების შემოსავლები და ხარჯები

- წინასაარჩევნო პერიოდში შესწავლილმა 8 საარჩევნო სუბიექტმა ჯამურად **18,8 მილიონი** ლარის ოდენობის შემოსავალი (საბიუჯეტო დაფინანსება და შემოწირულება) მიიღო და **25,3 მილიონი** ლარის ხარჯი გასწია. ჯამური ხარჯების **53%** (13,3 მილიონი ლარი) **„ქართულ ოცნებაზე"** მოდიოდა.
- წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების მიერ ჯამურად მიღებული შემოსავლების **94%** (17,7 მილიონი ლარი) შემოწირულებებზე მოდიოდა, **6%** (1 მილიონი ლარი) კი — სახელმწიფო დაფინანსებაზე.
- წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო სუბიექტებმა ჯამში 17,8 მლნ ლარის ოდენობის შემოწირულება მიიღეს, საიდანაც 6 მლნ ლარი (ყველა შემოწირულების 34%) **„ქართული ოცნებაზე"** მოდიოდა, 5,6 ლარით მეორე ადგილზე პარტია „**კოალიცია ცვლილებებისთვის"**, ხოლო მესამეზე - 5.1 ლარით **„ძლიერი საქართველო"**.
- განსხვავებული ვითარებაა წლის დასაწყისიდან მიღებული შემოწირულებების კუთხით, **ამ პერიოდში „ქართულმა ოცნებამ" იმაზე მეტი შემოწირულება მიიღო, ვიდრე სხვა დანარჩენმა პარტიებმა ერთად აღებული.** ყველა პარტიამ ჯამში 25.3 მლნ ლარი მიიღო, აქედან „ქართული ოცნებას" 13.4 მლნ ლარი შესწირეს (53%), „ძლიერი საქართველოს" – 5.4 მლნ ლარი (21%), ხოლო „კოალიციას ცვლილებისთვის" 5 მლნ ლარი (20%).
- წლის დასაწყისიდან შემომწირველთა 40%-ს იმაზე მეტი აქვს შეწირული, ვიდრე ერთი წლის საშუალო ხელფასია საქართველოში (17,000 ლარი ხელზე). ასეთ შემომწირველებზე ყველა პარტიის მიერ მიღებული შემოწირულების 84% მოდის, რაც მათ მსხვილ დონორებზე დამოკიდებულებაზე მიუთითებს.
- წინასაარჩევნო პერიოდში პარტიებმა **რეკლამაზე** 17.7 მილიონი ლარი დახარჯეს, რომლის 47% (8.3 მილიონი ლარი) „ქართულ ოცნებაზე" მოდიოდა; შემდეგ ადგილებზე „ძლიერი საქართველო" (4.5 მილიონი ლარი) და „კოალიცია ცვლილებებისთვის" (4.1 მილიონი ლარი) არიან.

პოლიტიკური კორუფციის მაღალი რისკის შემცველი შემოწირულებები

- მმართველი პარტიის შემომწირველებთან დაკავშირებულმა კომპანიებმა 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 17 ოქტომბრამდე პერიოდში **სახელმწიფო შესყიდვებში 684 მლნ ლარის კონტრაქტები მიიღეს.** სანაცვლოდ, აღნიშნულმა შემომწირველებმა 2024 წელს **„ქართული ოცნების" სასარგებლოდ 3.1 მლნ ლარი გაიღეს.**

- აღსანიშნავია შპს „გზას“ შემთხვევა, რომელმაც 2023-2024 წლებში **226 მლნ ლარის კონტრაქტები მიიღო სახელმწიფო შესყიდვებში.** კომპანია „ქართული ოცნების“ შემომწირველს და 2024 წლის არჩევნებში პარლამენტის წევრობის კანდიდატს გიორგი ჭყონიას ეკუთვნის. მან და მისმა მეწილემ – მალხაზ დუმბაძემ მმართველ პარტიას 2024 წელს 75 ათასი ლარი შესწირეს, 2013-დან კი 621 ათასი ლარი აქვთ ჯამურად შეწირული.

- „ქართული ოცნების“ შემომწირველია **სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ 32 ბენეფიციარი,** რომლებმაც 2024 წელს „ქართულ ოცნებას” 1.6 მლნ ლარი შესწირეს. 2014-2020 წლებში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მათ ჯამში 7.4 მლნ ლარი აქვთ მიღებული.

- „ქართული ოცნების“ 51 შემომწირველს 2014-2023 წლებში **სახელმწიფო აგროპროექტებიდან 71 მლნ ლარის სუბსიდია აქვს მიღებული.** სანაცვლოდ, აღნიშნულ წლებში მათ **მმართველ პარტიას 7.7 მლნ ლარი შესწირეს;** აქედან **2 მლნ ლარი — 2024 წლის 1 იანვრიდან 4 ოქტომბრამდე პერიოდში.**

    - ყველაზე მეტი თანხა მეღვინეების, ზურაბ და ალექსანდრე ჩხაიძეების კომპანიებმა მიიღეს - 16 მლნ ლარი. მათ „ქართული ოცნებისთვის“ 320,000 ლარი აქვთ შეწირული.

    - 10 მლნ ლარამდე სუბსიდია მიიღეს შპს Bolero & Company-მ და შპს „საქართველოს სპირტსახდელების გაერთიანებამ“, რომლის დირექტორებს, დავით ბოჭორიშვილს და ირაკლი ბექაურს მმართველი პარტიისთვის 347,000 ლარი აქვთ შეწირული. აღნიშნული ორი კომპანიის მფლობელი ბიძინა ივანიშვილი დეიდაშვილის, უჩა მამაცაშვილის ბიზნეს პარტნიორი ვახტანგ კარიჭაშვილია.

- **ბიძინა ივანიშვილთან** ნათესაური ან ბიზნეს კავშირის მქონე პირებმა 2024 წლის 1 იანვრიდან 4 ოქტომბრამდე „ქართულ ოცნებას” **425,000 ლარი შესწირეს**.

- წლების განმავლობაში მმართველი პარტიის შემომწირველებს შორის ჩამოყალიბდა რამდენიმე მსხვილი ჯგუფი, რომელიც თითქმის ყოველ არჩევნებზე „ქართულ ოცნებას” **დიდ თანხას ერთსა და იმავე დღეს სწირავს**. 2024 წლის 10-11 ივლისს **შპს „ნოვას“ ხუთმა მფლობელმა „ქართულ ოცნებას“ 282,000 ლარი შესწირა**. „ნოვამ“ 2023-2024 წლებში **სახელმწიფო შესყიდვებიდან 9.2 მლნ ლარი** მიიღო; პროგრამიდან „აწარმოე საქართველოში“ კი 1.1 მლნ ლარი აქვს მიღებული. 4 და 12 ივლისს **შპს „ლილო-მოლის“ 13-მა მფლობელმა „ქართულ ოცნებას“ ჯამში 558,000 ლარი შესწირა.**

პარტიებზე ზედამხედველობა

- ანტიკორუფციული ბიუროს 2024 წლის 24 სექტემბერის გადაწყვეტილება, რომლითაც “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” და მის აღმასრულებელ დირექტორს - ეკა გიგაურს „განცხადებული საარჩევნო მიზნების” მქონე სუბიექტის სტატუსი მიენიჭათ, კანონსაწინააღმდეგო და უკიდურესად დამაზიანებელი გადაწყვეტილება იყო, რომლის შედეგადაც ანტიკორუფციული ბიუროს, როგორც პარტიების ფინანსური ზედამხედველი ორგანოს მიმართ ნდობა აღარ არსებობს.

- პრემიერ-მინისტრის საჯარო დავალებით, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის მიერ თავისი გადაწყვეტილება გააუქმება კიდევ უფრო აძლიერებს არგუმენტებს, რომ ბიურო გადაწყვეტილებებს ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად არ იღებს.

- მას შემდეგ, რაც პარტიების ზედამხედველობა ანტიკორუფციული ბიუროს მანდატი გახდა, პოლიტიკური ფინანსების ზედამხედველობის გამჭვირვალობის სტანდარტები დღითიდღე უარესდება. ბიუროს არ გამოუქვეყნებია წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში, გაუარესებულია წვდომა პარტიების მიერ წარდგენილ დეკლარაციებზე, დღემდე არ არსებობს ინფორმაცია პოლიტიკური პარტიების ან შემომწირველების მიმართ დასრულებულ და მიმდინარე სამართალდარღვევის საქმეების წარმოებებთან დაკავშირებით.

შესავალი

2024 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის არჩევნები უნდა გაიმართოს, რომელშიც მონაწილეობის მისაღებადაც 18 პოლიტიკური პარტია დარეგისტრირდა. პოლიტიკურ პარტიებს შორის კონკურენტული გარემოს არსებობა დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი საფუძველია. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებას ჰქონდეს არჩევანი სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებს შორის, რათა არ მოხდეს ერთპიროვნული სახელმწიფო მმართველობის ჩამოყალიბება. პოლიტიკური პარტიების კონკურენტუნარიანობა და პოპულარობა კი, დიდ წილად, მათ ფინანსურ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ საზოგადოებისთვის საინტერესო უნდა იყოს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი, რომელსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ უკვე წლებია იკვლევს.

ამჯერად, წარმოგიდგენთ კვლევის შუალედურ ანგარიშს, რომელშიც გაანალიზებულია საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში საარჩევნო კამპანიის დაფინანსების მხრივ არსებული მნიშვნელოვანი საკითხები.

კანონმდებლობის შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანია საქართველოში 27 აგვისტოს დაიწყო, მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა არჩევნების დღის დანიშვნის შესახებ განკარგულება გამოაქვეყნა.[1] არჩევნების დანიშვნის დღიდან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი/საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია ანტიკორუფციულ ბიუროს სამ კვირაში ერთხელ, დადგენილი ფორმით, წარუდგინოს ფინანსური ანგარიში. 27 აგვისტოდან საარჩევნო სუბიექტებმა უკვე 2 სამკვირიანი ფინანსური ანგარიში გაუგზავნეს ანტიკორუფციულ ბიუროს, რითაც 27 აგვისტო - 7 ოქტომბრის პერიოდში მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები წარადგინეს. აქედან გამომდინარე, წინამდებარე კვლევის ძირითადი საანგარიშო პერიოდი მოიცავს 27 აგვისტოდან 7 ოქტომბრის ჩათვლით არსებულ დროის მონაკვეთს. გამონაკლისია პარტიების მიერ მიღებული შემოწირულებები, რომელთა შესახებ ინფორმაცია პარტიების ფინანსური ანგარიშების გარეშეც არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, შემოწირულებების ანალიზი უფრო ადრეულ პერიოდებსაც შეეხება.

კვლევისთვის შევარჩიეთ არჩევნებში მონაწილე ის საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც ან კვალიფიციური პოლიტიკური პარტიები არიან ან საარჩევნო პერიოდში 50,000 ლარი ან მეტი დახარჯა. შედეგად, შეირჩა 11 საარჩევნო სუბიექტი, რომელთა შორის 10 კვალიფიციური პარტიის მიერ რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტია, ხოლო ერთი — პარტია „გახარია საქართველოსთვის". შერჩეული პარტიებიდან სამმა („კი ევროპას - სტრატეგია აღმაშენებელი“, „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის", „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“) მოგვიანებით გააუქმა საარჩევნო რეგისტრაცია და კოალიციაში შევიდა სხვა პარტიებთან ერთად. ამიტომ მათ მიერ წარდგენილ დეკლარაციებში ასახული ფინანსური მაჩვენებლები გავუერთიანეთ იმ კოალიციების მონაცემებს, რომელთა ნაწილიც გახდნენ ეს პარტიები. საბოლოოდ, საარჩევნო სუბიექტები შემდეგნაირად დაჯგუფდნენ:

1. **„გახარია საქართველოსთვის“**
2. **„გირჩი“**
3. **„ევროპელი დემოკრატები“**
4. **„ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“** *(შემდგომში „ნაციონალურ მოძრაობას“, გაუერთიანდა, აგრეთვე, პარტიები „კი ევროპას - სტრატეგია აღმაშენებელი“, „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის")*
5. **„კოალიციაცვლილებისთვისგვარამიამელიაგირჩიდრო“** *(„კოალიციაცვლილებებისთვის")*
6. **„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“** *(„პატრიოტთა ალიანსი")*
7. **„ქართული ოცნება“**
8. **„ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“** *(„ძლიერ საქართველოს“ გაუერთიანდა „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“)*

---

[1] საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება N 27/08/02 2024 წლის 27 აგვისტო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6260621?publication=0

პოლიტიკური პარტიების წლიური ფინანსური ანგარიშგებების გარდა, პოლიტიკური პარტიების შემომწირველების ბიზნესკავშირებისა და სახელმწიფო შესყიდვებში მათი ინტერესების დასადგენად გამოყენებულ იქნა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მიერ შექმნილი საგამოძიებო ვებ-პლატფორმები www.politicaldonations.ge, www.tendermonitor.ge, www.compayinfo.ge, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდი www.procurement.gov.ge და სხვა ღია წყაროები. ანგარიში მომზადდა კანონმდებლობის, ასევე, სტატისტიკური მონაცემების თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე. კვლევის ზოგიერთი ნაწილი აღებულია პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" ადრინდელი ანგარიშებიდან.

კვლევის საანგარიშო პერიოდი, პარტიების მიერ ანტიკორუფციული ბიუროსთვის წარმდგენილი სამკვირიანი დეკლარაციების შემთხვევაში, მოიცავს 27 აგვისტოდან 7 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდს; ხოლო, შემომწირველებთან დაკავშირებული პოლიტიკური კორუფციის რისკების შემცველი შემთხვევების ანალიზისას, ვიხელმძღვანელეთ 2024 წლის 1 იანვრიდან 4 ოქტომბრის ჩათვლით განცხორციელებული შემოწირულებებით. ორივე შემთხვევაში გამოყენებულია მონაცემები, რომლებიც საჯაროდ ხელმისაწვდომი იყო 15 ოქტომბრის მდგომარეობით.[2]

კვლევის დასაწყისში მოკლედ არის მიმოხილული ის ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩო, რომლითაც საქართველოში პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხები არის მოწესრიგებული. ანგარიშის მომდევნო თავებში წარმოდგენილია ზემოთ ნახსენები 11 საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი.[3] შემოსავლების ნაწილში აქცენტი გაკეთებულია როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დაფინანსებაზე. გარდა ამისა, წარმოდგენილია პოლიტიკური პარტიების მიერ 2024 წლის 1 იანვრიდან მიღებული შემოწირულებები და მათთან დაკავშირებული პოლიტიკური კორუფციის რისკების შემცველი შემთხვევები. ხარჯების ნაწილში მოცემულია სუბიექტების მიერ ოფიციალურად დეკლარირებული მონაცემების მიმოხილვა. ბოლო თავი კი ეთმობა ფინანსების გამჭვირვალობისა და მასზე ზედამხედველობის საკითხს, მათ შორის, ანტიკორუფციული ბიუროს მიერ გაწეულ საქმიანობას.

[2] 15 ოქტომბრის მდგომარეობით ანტიკორუფციული ბიუროს ვებ-გვერდზე monitoring.acb.gov.ge ხელისაწვდომი იყო 2024 წლის 4 ოქტომრის ჩათვლით განხორციელებული შემოწირულებები.

[3] საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია, ძირითადად, აღებულია მათ მიერვე შევსებული დეკლარაციებიდან. აქედან გამომდინარე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" ყველა მონაცემის სიზუსტეზე პასუხს არ აგებს. გარდა ამისა, მონაცემები ძირითადად დაანგარიშებულია საკასო შემოსავლებისა და ხარჯების მიხედვით. მხოლოდ შემოწირულებების ნაწილში, ზოგიერთ შემთხვევაში, საკასო მონაცემებს ფაქტობრივიც აქვს დამატებული, ვინაიდან არაფულადი შემოწირულება ზოგიერთ საარჩევნო სუბიექტს მხოლოდ ფაქტობრივ შემოსავლებში აქვს მითითებული.

1. საკანონმდებლო ჩარჩო

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო აქტით რეგულირდება. რეგულირების სფერო, თავის მხრივ, მოიცავს საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული შემოსავლებსა და ხარჯების აღრიცხვას, ასევე, მათი გამჭვირვალობის და კანონით განსაზღვრული ვალდებულებების ეფექტიანი აღსრულების უზრუნველყოფას.

პოლიტიკური დაფინანსების რეგულირების ძირითადი სამართლებრივი საფუძვლები განსაზღვრულია ორგანული კანონებით **„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“** და **საარჩევნო კოდექსი**, ასევე, კანონებით - **ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი** და **ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი**, აგრეთვე, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის შესაბამისი ბრძანებით.[4]

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს იმ პირებს, ვისზეც ვრცელდება პოლიტიკურ ფინანსებთან დაკავშირებული შემზღუდველი რეგულირებები. კერძოდ, ზემოაღნიშნული კანონი იცნობს, როგორც პოლიტიკური პარტიის, ასევე გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე პირის ცნებას. კანონის თანახმად, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება (პარტია) არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი გაერთიანება, რომელიც რეგისტრირებულია კანონით დადგენილი წესით და თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ფარგლებში. საქართველოს კანონმდებლობაში სპეციალური რეგულირება არსებობს საარჩევნო კამპანიისთვის/წინასაარჩევნო პერიოდისთვის, რომელიც იწყება კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე.

2022 წლის ბოლოს არსებითი ცვლილება განიცადა პოლიტიკური პარტიების ზედამხედველობის სისტემამ - შეიქმნა ანტიკორუფციული ბიურო, რომელსაც, სხვა ფუქნციებთან ერთად, პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის ფუნქციაც დაეკისრა. ამ უფლებამოსილების განხორციელებას ანტიკორუფციული ბიურო 2023 წლის 1 სექტემბრიდან შეუდგა.

არჩევნების დანიშვნის დღიდან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი/საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია ანტიკორუფციულ ბიუროს სამ კვირაში ერთხელ, დადგენილი ფორმით, წარუდგინოს ფინანსურ ანგარიში.[5] საარჩევნო სუბიექტები არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 1 თვისა, ხოლო, მეორე ტურში მონაწილე საარჩევნო სუბიექტები – მეორე ტურის შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 1 თვისა, ანტიკორუფციულ ბიუროს აუდიტორულ (აუდიტორული ფირმის) დასკვნასთან ერთად წარუდგენენ არჩევნების დანიშვნის დღიდან საბოლოო შედეგების გამოქვეყნების დღის მდგომარეობით გამოყენებული სახსრების ანგარიშს.[6]

1.1. პარტიების შემოსავლების მარეგულირებელი ჩარჩო

საქართველოს კანონმდებლობით, პოლიტიკურ პარტიებს შემოსავლების მიღება შემდეგი წყაროებიდან აქვთ ნებადართული: 1. სახელმწიფო დაფინანსება; 2. საწევრო შენატანები; 3. შემოწირულებები; 4. საბანკო სესხები.

---

[4] ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2023 წლის 25 აგვისტოს №4 ბრძანება „პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების შესახებ“, https://matsne.gov.ge/ka/document/view/5900992?publication=0.

[5] საარჩევნო კოდექსის 57-ე მუხლის 1 ნაწილი.

[6] იქვე, მე-4 ნაწილი.

1.1.1. სახელმწიფო დაფინანსება

როგორც აღინიშნა, პარტიის დაფინანსების ერთ-ერთი წყარო შეიძლება სახელმწიფოსგან მიღებული სახსრები იყოს. სახელმწიფო დაფინანსების ოდენობა და სუბიექტები განისაზღვრება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის მიხედვით. კანონი ადგენს, რომ სახელმწიფოსგან დაფინანსების მიღების შემდეგი გზები არსებობს:

- **თანხის პირდაპირ პარტიებისთვის გადაცემა**

ბიუჯეტიდან პირდაპირ პარტიისთვის გასანაწილებლად გამოყოფილ თანხას იღებს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ის პარტია, რომელმაც საქართველოს პარლამენტის ბოლო არჩევნებში ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 1% მაინც მიიღო. დაფინანსება განისაზღვრება პარლამენტის ბოლო არჩევნებში პირველი 50,000 ნამდვილი ხმის ფარგლებში მიღებული თითოეული ხმისთვის 15 ლარის, ხოლო თითოეული შემდგომი მიღებული ნამდვილი ხმისთვის – 5 ლარის ოდენობით.[7]

- **უფასო სარეკლამო დრო**

გარდა პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსებისა, კანონმდებლობა განსაზღვრავს პოლიტიკური პარტიის არაპირდაპირ დაფინანსებასაც. საერთო ეროვნული საეთერო მაუწყებელი ვალდებულია საერთო არჩევნებისას საარჩევნო კამპანიის დროს საკუთარ ეთერში ყოველ 3 საათში არანაკლებ 7.5 წუთი გამოყოს კვალიფიციური საარჩევნო პარტიის რეკლამისთვის, რომელიც მათ თანაბრად და არადისკრიმინირებულად გაუნაწილდებათ. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი იმავე მიზნით, ყოველ საათში 5 წუთს გამოყოფს.

1.1.2. კერძო დაფინანსება

სახელმწიფო დაფინანსებასთან ერთად, პოლიტიკურ პარტიებს უფლება აქვთ, ფინანსური სახსრები მოიზიდონ კერძო პირებისგან. 2023 წლის 29 დეკემბრამდე, შემოწირულების განხორციელების უფლება ჰქონდა როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირსაც, თუმცა, 2023 წლის 29 დეკემბრის ცვლილებებით, იურიდიული პირის მიერ პარტიის სასარგებლოდ შემოწირულების განხორციელება აიკრძალა. კანონით დადგენილი კერძო დაფინანსების კატეგორიებია:

- **საწევრო შენატანები**

საწევრო შენატანების წლიური ოდენობის ზედა ზღვარი 1,200 ლარია.

- **შემოწირულებები**

შემოწირულება შეიძლება იყოს პარტიის ანგარიშზე ფიზიკური პირის მიერ ჩარიცხული ფულადი თანხა, ასევე პარტიის მიერ ფიზიკური პირისგან უსასყიდლოდ ან ფასდაკლებით/შეღავათიანი პირობებით მიღებული მატერიალური ან არამატერიალური ფასეულობა (მათ შორის, შეღავათიანი კრედიტი) და მომსახურება (გარდა მოხალისის მიერ ნებაყოფლობით შესრულებული სამუშაოსი).

შემოწირულებების განხორციელებისას კანონი ადგენს როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ შეზღუდვებს. შემომწირველი ფიზიკური პირი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე. პარტიის მიერ თითოეული მოქალაქისაგან მიღებული შემოწირულებების საერთო ოდენობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 60,000 ლარს.

ასევე, აკრძალულია შემოწირულების მიღება სხვა ქვეყნის ფიზიკური პირებისაგან და ანონიმური ფორმით.

[7] „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

- **საბანკო კრედიტი**

პარტიას, ასევე, უფლება აქვს აიღოს კრედიტი მხოლოდ საქართველოს კომერციული ბანკისაგან, კალენდარული წლის განმავლობაში საერთო რაოდენობით არაუმეტეს ერთი მილიონი ლარისა.

1.2. პარტიების ხარჯების მარეგულირებელი ჩარჩო

საქართველოს კანონმდებლობა პოლიტიკურ პარტიებს ავალდებულებს, ანტიკორუფციულ ბიუროს მიაწოდონ დეტალური ანგარიში გაწეული ხარჯების შესახებაც, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია, გაასაჯაროოს პარტიებისგან მიღებული ინფორმაცია. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების" შესახებ ორგანული კანონით რეგლამენტირებულია ხარჯების მაქსიმალური ოდენობა: მოქმედი რეგულაციით პარტიის მიერ წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის **0.04%-ს**. აღნიშნულ თანხაში, ასევე, შედის პარტიის და მის სასარგებლოდ სხვა პირის მიერ გაწეული ხარჯები. ხარჯებში იგულისხმება არჩევნებზე, სხვადასხვა ღონისძიების დაფინანსებაზე, შრომის ანაზღაურებაზე, მივლინებასა და სხვა ღონისძიებებზე გაწეული ხარჯები.

გარდა პარტიის საერთო წლიური ხარჯების ლიმიტირებისა, ორგანული კანონი ასევე აწესებს შეზღუდვებს კონკრეტული ტიპის ხარჯებზეც: პარტიის საექსპერტო-საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაზე გაწეული ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს წლის განმავლობაში ნებადართული მაქსიმალური ხარჯის 10%-ს.

2. პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული შემოსავლების მიმოხილვა და ანალიზი

როგორც აღვნიშნეთ, კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია იმ 8 საარჩევნო სუბიექტის ფინანსური დეკლარაციები, რომლებიც სახელმწიფო დაფინანსებას იღებენ ან საარჩევნო პერიოდში მათი ხარჯი 50,000 ლარს აღემატება.

შესწავლილმა სუბიექტებმა 27 აგვისტოდან 7 ოქტომბრის ჩათვლით მთლიანობაში 18,800,803 ლარის ოდენობის შემოსავალი მიიღეს, ამ თანხის დაახლოებით 35% - 6,501,139 ლარი, მმართველ პარტიაზე - „ქართული ოცნებაზე“ მოდიოდა. 5,614,293 ლარით მეორე ადგილზე იყო „კოალიცია ცვლილებებისთვის”, მესამეზე კი - „ძლიერი საქართველო“ 5,149,511 ლარით (სრული სია იხილეთ დიაგრამა 1-ზე).

დიაგრამა 1. საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული მთლიანი შემოსავალი, (27 აგვისტო - 7 ოქტომბერი), ₾



საანგარიშო პერიოდში სუბიექტების მიერ ჯამურად მიღებული შემოსავლების მხოლოდ 6% (1,035,209 ₾ ლარი) მოდიოდა სახელმწიფო დაფინანსებაზე, 94% (17,753,558 ლარი) კი - კერძოზე. კერძო დაფინანსებას ამ წინასაარჩევნო პერიოდში მთლიანად შემოწირულება წარმოადგენს, განსხვავებით წინა არჩევნებისგან, როდესაც პარტიები ხშირად საბანკო სესხებითაც სარგებლობდნენ. სახელმწიფო დაფინანსების შედარებით მცირე წილი განპირობებულია იმით, რომ საანგარიშო პერიოდი არასრულ ორ თვეს წარმოადგენს, სახელმწიფო დაფინანსებას კი პარტია ყოველთვიურად, თანაბარი ოდენობით იღებს, მაშინ როდესაც კერძო დაფინანსების წყაროებიდან თანხების მიღება ძირითადად სწორედ საარჩევნო პერიოდზეა კონცენტრირებული.

დიაგრამა 2. საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული მთლიანი შემოსავალი წყაროების მიხედვით, (27 აგვისტო - 7 ოქტომბერი) ₾, %



2.1 სახელმწიფო დაფინანსება

საარჩევნო სუბიექტების მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებული სახელმწიფო დაფინანსების კუთხით, 428,335 ლარით პირველ ადგილზე „ქართული ოცნება" იყო, მეორე ადგილზე — 355,331 ლარით „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა", ხოლო მესამეზე - 86,927 ლარით „პატრიოტთა ალიანსი".

დიაგრამა 3. საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული სახელმწიფო დაფინანსება (27 აგვისტო - 7 ოქტომბერი), ₾



2.2 შემოწირულებები

პოლიტიკური პარტიის მიერ მოზიდული შემოწირულებები საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა. მძიმე სოციალური ფონის გამო, პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ დიდი რაოდენობის შემოწირულების გაღების ფაქტები საზოგადოებაში ყოველთვის აჩენს ლეგიტიმურ კითხვებს იმის შესახებ, თუ ვინ დგას რეალურად ამ ფინანსური ტრანზაქციის უკან და ხომ არ გვაქვს საქმე კორუფციულ გარიგებასთან.

კორუფციული და უკანონო სქემების გაშიფვრა საკმაოდ რთულია, თუმცა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" ცდილობს, საზოგადოებას მეტი ინფორმაცია მიაწოდოს პოლიტიკური პარტიების შემომწირველებისა და მათი ბიზნეს ინტერესების, ასევე, მათი კომპანიების მიერ მიღებული სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტების თუ სხვა სახელმწიფო სუბსიდიდიების შესახებ.

ამ კავშირების უფრო მარტივად აღმოჩენის და ანალიზის მიზნით, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" შექმნა სპეციალური ვებგვერდი www.politicaldonations.ge, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია 2011 წლიდან პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ განხორციელებული ყველა შემოწირულების შესახებ. ამასთანავე, ვებგვერდზე შესაძლებელია შემომწირველების ბიზნესინტერესების ნახვაც.

შესწავლილი საარჩევნო სუბიექტიდან 2024 წლის 27 აგვისტო - 7 ოქტომბრის პერიოდში შემოწირულება მხოლოდ ექვსმა სუბიექტმა მიიღო, ჯამში 17,753,558 ლარის ოდენობით, საიდანაც 6,072,701 ლარი (ყველა შემოწირულების 34%) მმართველ პარტიაზე - „ქართული ოცნებაზე" მოდიოდა, 5,590,354 ლარით მეორე ადგილზე პარტია „კოალიცია ცვლილებებისთვის", ხოლო მესამეზე - 5,107,258 ლარით „ძლიერი საქართველო" იყო (იხილეთ დიაგრამა 4).

დიაგრამა 4. საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო პერიოდში მიღებული შემოწირულებები (27 აგვისტო - 7 ოქტომბერი), ₾



შემოწირულებების შესახებ ინფორმაციას პოლიტიკური პარტიები ანტიკორუფციულ სააგენტოს მათი მიღებიდან 5 დღის ვადაში აწვდიან, რომელსაც სააგენტო საკუთარ ვებგვერდზე ათავსებს. აქედან გამომდინარე, პარტიების მიერ მიღებული შემოწირულებების შესახებ ინფორმაცია მათი ფინანსური დეკლარაციების ნახვის გარეშეც არის შესაძლებელი. შესაბამისად, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ამ საკითხის შესწავლისას გავცდით კვლევის ძირითად საანგარიშო პერიოდს (27 აგვისტო - 7 ოქტომბერი) და დამატებით გავაანალიზეთ 2024 წლის 1 იანვრიდან 4 ოქტომბრის ჩათვლით 11 პარტიის მიერ მიღებული შემოწირულებები.

დიაგრამა 5. შესწავლილი საარჩევნო სუბიექტები, რომლებმაც შემოწირულება მიიღეს, ლარი (2024 წლის 1 იანვარი - 4 ოქტომბერი)



ყველა საარჩევნო სუბიექტის ჯამური შემოწირულებების 53% მმართველმა პარტიამ „ქართული ოცნებამ" მიიღო. სამმა სუბიექტმა, „ქართულმა ოცნებამ", „ძლიერმა საქართველომ" და „კოალიციამ ცვლილებისთვის" ჯამში 1 იანვრიდან 4 ოქტომბრამდე განხორციელებული შემოწირულებების 93% მიიღეს.

თუ წინა საარჩევნო წლების ტენდენციებს შევადარებთ, საპარლამენტო არჩევნების წელს (2020) „ქართული ოცნების" წილი მთლიან შემოწირულებებში 46%, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წელს (2021) კი 70% იყო. 2021 წლის არჩევნებთან შედარებით მმართველი და სხვა პარტიების მიღებულ შემოწირულებებს შორის სხვაობის შემცირება ძირითადად იმან განაპირობა, რომ აქამდე არსებულ ფინანსურად შედარებით ძლიერ პარტიებს „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა" დაემატა. მიუხედავად ამისა, მმართველი პარტიის - „ქართული ოცნების" ფინანსური უპირატესობა კვლავ დიდია.

ყველა სუბიექტის მიერ მიღებული ჯამური შემოწირულებების 98% ფულადი შემოწირულებაა, ხოლო 2% არაფულადი სახითაა მიღებული. შემომწირველთა 40%-ს იმაზე მეტი აქვს შეწირული, ვიდრე ერთი წლის საშუალო ხელფასია საქართველოში (17,000 ლარი ხელზე). ასეთ შემომწირველებზე ყველა პარტიის მიერ მიღებული შემოწირულების 84% მოდის, რაც მათ მსხვილ დონორებზე დამოკიდებულებას მიუთითებს.

2.2.1 პოლიტიკური კორუფციის მაღალი რისკის შემცველი შემოწირულებები

პოლიტიკური კორუფციის განსაკუთრებით მაღალი რისკები, ბუნებრივია, მმართველი პარტიის მიერ მიღებულ შემოწირულებებს უფრო ახლავს თან, ვინაიდან სწორედ ხელისუფლებას აქვს იმის ბერკეტი, რომ გარკვეული სარგებლის მიღების სანაცვლოდ გაურიგდეს პოტენციურ შემომწირველს. სწორედ ამიტომ, კვლევისას აქცენტი „ქართული ოცნების" შემოწირულებებზე გაკეთდა. ამ მიზნით,

შევისწავლეთ მმართველი პარტიის შემომწირველები, რომლებმაც 2024 წლის 1 იანვრიდან 4 ოქტომბრამდე „ქართული ოცნების" სასარგებლოდ გაიღეს თანხა. კერძოდ, შევხედეთ, თუ რამდენი მათგანი იყო იმ ბიზნეს კომპანიებთან დაკავშირებული, რომლებსაც 2023 წლის 1 იანვრიდან გარკვეული სარგებელი აქვთ მიღებული სახელმწიფო შესყიდვებიდან და სხვა სახელმწიფო პროგრამებიდან.

კვლევამ აჩვენა, რომ 2024 წელს მმართველი პარტიის დონორებთან დაკავშირებულმა კომპანიებმა 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 17 ოქტომბრამდე პერიოდში სახელმწიფო შესყიდვებში 684 მლნ ლარის კონტრაქტები მიიღეს. სანაცვლოდ, აღნიშნულმა შემომწირველებმა 2024 წელს 3.1 მლნ ლარი გაიღეს „ქართული ოცნების" სასარგებლოდ.

ცხრილი 1-ში „ქართული ოცნების" შემომწირველების ის კომპანიებია მოცემული, რომლებმაც 2023-2024 წლებში სახელმწიფო შესყიდვებიდან ყველაზე მეტი ღირებულების კონტრაქტები მიიღეს. აღნიშნულმა კომპანიებმა ბოლო 2 წლის განმავლობაში ჯამში 664 მლნ ლარის კონტრაქტები მიიღეს. აქედან 634 მლნ ლარი მათ ტენდერებით მიიღეს, ხოლო 30 მლნ პირდაპირი (გამარტივებული) შესყიდვით. ამ კომპანიების მფლობელებმა 2024 წლის 1 იანვრიდან 4 ოქტომბრამდე 1 მლნ ლარი შესწირეს მმართველ პარტიას, 2013-2024 წლებში კი 2.9 მლნ ლარი აქვთ შეწირული.

განსაკუთრებით აღსანიშნავია შპს „გზა", რომელიც „ქართული ოცნების" შემომწირველს გიორგი ჭყონიას ეკუთვნის. გიორგი ჭყონია 2024 წლის არჩევნებში ქართული ოცნების დელეგატია და საპარლამენტო სიაში 46-ე ნომრად არის მითითებული. შპს „გზამ" 2023-2024 წლებში 226 მლნ ლარის კონტრაქტები მიიღო სახელმწიფო შესყიდვებში. კომპანია "გზის" ტენდერებზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" გასულ წელსაც წერდა.[8]

ბოლო 2 წლის განმავლობაში 139 მლნ ლარის შესყიდვების კონტრაქტები მიიღო შპს „ცეკურმა", რომელიც „ქართული ოცნების" მსხვილ შემომწირველებს მიეკუთვნება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" აღნიშნულ კომპანიაზე კვლევა მიმდინარე წლის მარტში გამოაქვეყნა.[9]

შპს „ბონდი-2009" და შპს „მონოლითის" მფლობელებმა 2024 წელს „ქართულ ოცნებას" 155,000 ლარი შესწირეს. მათ კომპანიებს ბოლო 2 წლის განმავლობაში 101 მლნ ლარი აქვთ მიღებული სახელმწიფო შესყიდვებიდან. აღნიშნულ შემომწირველებზე და ასევე, აჭარაში ბიზნეს საქმიანობით დაკავებულ „ქართული ოცნების" სხვა შემომწირველებზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" ცალკე კვლევა გამოაქვეყნა.[10]

---

[8] *ბიზნესმენ გიორგი ჭყონიას 335 მილიონიანი შემოსავალი სახელმწიფო შესყიდვებიდან და შეწირულობები „ქართულ ოცნებას,* „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო", 12.12.2023, https://bit.ly/3YhAZU2

[9] *ყოფილი პარლამენტარის გზა "ნაციონალური მოძრაობიდან" "ქართული ოცნების" შემწირველობამდე და 306 მილიონი სახელმწიფო შესყიდვებიდან,* „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო", 1.03.2024, https://bit.ly/3YfFdLT

[10] *2 მილიონ ლარზე მეტი 9 თვეში - ვინ ავსებს „ქართული ოცნების" სალაროს აჭარიდან?,* „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო", 3.10.2024, https://bit.ly/40cFfXt

ცხრილი 1. „ქართული ოცნების“ შემომწირველებთან დაკავშირებული 10 კომპანია, რომელმაც სახელმწიფო შესყიდვებიდან ყველაზე მეტი ღირებულების კონტრაქტები მიიღო 2023-2024 წლებში, ლარი				
კომპანია	**2023- 2024 წლებში სახელმწიფო შესყიდვებიდან მიღებული თანხა**	**კომპანიასთან დაკავშრებული შემომწირველი**	**2024 წელს შეწირული თანხა**	**2013-2024 წლებში შეწირული თანხა**
შპს გზა	225,669,429	გიორგი ჭყონია, მალხაზ დუმბაძე	75,000	621,000
შპს ცეკური	139,055,917	სერგო ხაბულიანი, ბექა ხაბულიანი	108,000	438,000
შპს ანაგი	110,543,772	ირაკლი გოგოლიშვილი	60,000	120,000
შპს ბონდი-2009, შპს მონოლითი	101,159,822	ნუკრი დოლიძე, ოთარ ფუტკარაძე, დავით დევაძე	155,000	425,000
შპს გ & კ ტექნოლოგი	25,843,406	რომანი აბრამიშვილი	56,000	396,000
შპს ქართლი	22,127,217	გიორგი რუბაშვილი	20,000	20,000
შპს ხვამლი XXI	13,282,367	გოგი გუგავა	40,000	105,000
შპს დაგი+	9,809,624	გიგა ფალიანი, მერაბ ყიფიანი, დავითი გოგრიჭანი	166,000	166,000
შპს ნოვა	9,216,762	ჯემალი ანთაძე, რამაზ ირემაძე, ჯემალ ბოლქვაძე, ემზარ ირემაძე, ზვიად აბულაძე	282,000	582,000
შპს მეტალ +	7,529,697	გიორგი მუზაშვილი	50,000	50,000

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” ანგარიშებში, რომლებიც პოლიტიკური პარტიების დაფინანსების კვლევებს ეხებოდა, ხშირად ხაზგასმული იყო, რომ წლების განმავლობაში მმართველი პარტიის შემომწირველებს შორის ჩამოყალიბდა რამდენიმე მსხვილი ჯგუფი, რომელიც თითქმის ყოველ არჩევნებზე „ქართულ ოცნებას” დიდი თანხებით აფინანსებს. ყველა ასეთ ჯგუფს ის ახასიათებს, რომ მასში შემავალი პირების დიდი ნაწილი ერთსა და იმავე დღეს ან 1-2 დღის შუალედში წირავს მმართველ პარტიას თანხას, რაც გარკვეულ ეჭვებს აჩენს, წინასწარ ხომ არ არის ეს კოლექტიური ქმედება ვინმეს მიერ ორგანიზებული და სხვა პირების მეშვეობით ხომ არ ხდება შეწირვა. საქართველოს კანონმდებლობით იკრძალება მესამე პირის მეშვეობით შემოწირულების განხორციელება.[11]

[11] საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების კამპანიის დაფინანსება, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო” https://shorturl.at/tf103

2024 წლის 10-11 ივლისს შპს „ნოვას“ ხუთმა მფლობელმა შესწირა „ქართულ ოცნებას“ თანხა, ჯამში 282,000 ლარი. წინა წლების ჩათვლით მათ 582,000 ლარი აქვთ შეწირული მმართველი პარტიისთვის. შპს „ნოვამ“ 2023-2024 წლებში სახელმწიფო შესყიდვებიდან 9.2 მლნ ლარი მიიღო, 2013-2024 წლებში კი 14 მლნ ლარი აქვს მიღებული.

2024 წლის ივლისში შპს „ლილო-მოლის“ 13-მა მფლობელმა შესწირა თანხა „ქართულ ოცნებას“. აქედან, ცხრამ თანხა 4 ივლისს შესწირა, ხოლო ოთხმა 12 ივლისს (ცხრილი 2). ჯამში, 2024 წელს 558,000 ლარი შესწირეს მმართველ პარტიას, 2013 წლიდან დღემდე კი 2.4 მლნ ლარი აქვთ შეწირული.

ცხრილი 2. შპს „ლილო-მოლის“ მფლობელების შემოწირულებები „ქართულ ოცნებას“

სახელი და გვარი	2024 წელს შეწირული თანხა, ლარი	შემოწირულების განხორიციელების ზუსტი თარიღი	2013-2024 წლებში განხორციელებული შემოწირულებები, ლარი
გიორგი გაგუა	60,000	4 ივლისი	327,000
ლევან გაგუა	50,000	4 ივლისი	265,000
დავით გავაშელი	50,000	4 ივლისი	105,000
დავითი გაგუა	40,000	4 ივლისი	230,000
ლევან ანდღულაძე	20,000	4 ივლისი	20,000
ვაჟა უსანეთაშვილი	60,000	4 ივლისი	336,000
ნიკოლოზ უსანეთაშვილი	30,000	4 ივლისი	135,000
ბაჩო კაპანაძე	58,000	4 ივლისი	173,000
გიორგი კვარაცხელია	20,000	4 ივლისი	115,000
ილია ბადრიაშვილი	10,000	12 ივლისი	10,000
ილია შონია	60,000	12 ივლისი	334,000
მარიკა გავაშელი	40,000	12 ივლისი	40,000
გია ანდღულაძე	60,000	12 ივლისი	337,000

შემომწირველებს შორის 13 პირი ბიძინა ივანიშვილთან არის დაკავშირებული ნათესაური ან ბიზნეს კავშირით. მათ 2024 წლის 1 იანვრიდან 4 ოქტომბრამდე „ქართულ ოცნებას” 425,000 ლარი შესწირეს, 2013 წლიდან დღემდე კი 3 მლნ ლარამდე აქვთ შეწირული (ცხრილი 3). მათ შორის, ერთ-ერთი მსხვილი შემომწირველი ბიძინა ივანიშვილის ძმა - ალექსანდრე ივანიშვილია. ხოლო, ყველაზე მეტი - 493,000 ლარი „ქართუ ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ნატო ხაინდრავას აქვს შეწირული.

ცხრილი 3. სავარაუდოდ ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული შემომწირველები			
სახელი და გვარი	**2024 წელს შეწირული თანხა, ლარი**	**2013-2024 წლებში განხორციელებული შემოწირულებები, ლარი**	**ბიძინა ივანიშვილთან კავშირი**
ალექსანდრე ივანიშვილი	60,000	380,000	ბიძინა ივანიშვილი ძმა
დავით დუგლაძე	60,000	282,000	შპს დუგლაძეების ღვინის კომპანია
გივი ლებანიძე	50,000	332,000	სს ბანკი ქართუ
გიორგი დამენია	50,000	170,000	შპს ტორნადო +
ბექა კვარაცხელია	50,000	300,000	სს ბანკი ქართუ
ნატო ხაინდრავა	40,000	493,000	სს ქართუ ჯგუფი
კახა კობიაშვილი	40,000	300,000	სს სპორტული კომპლექსი ლაგუნა ვერე
ზურაბ გოგუა	30,000	323,000	სს ბანკი ქართუ
გოჩა ჩიკვილაძე	30,000	299,000	შპს ქართუ ჯგუფი
გიორგი ბებია	30,000	30,000	შპს ტორნადო +
გიორგი ტრიპოლსკი	20,000	129,000	შპს საბროკერო კომპანია ქართუ ბროკერი
არჩილ გოგელია	15,000	107,000	შპს ქიფი
ნოე ქინქლაძე	10,000	90,000	შპს ლიზინგი ოცდამეერთე

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდიის მიღების მსხვილი წყაროა პროგრამა „აწარმოე საქართველოში“. 2021 წლიდან აღნიშნული პროგრამის ინფორმაცია გამჭვირვალე აღარ არის, მთავრობა მალავს, თუ ვის აფინანსებს.[12] 2014-2020 წლებში გაცემული დაფინანსების შესწავლამ კი აჩვენა, რომ „ქართული ოცნების“ შემომწირველები აღნიშნული პროგრამიდანაც იღებენ მსხვილ დაფინანსებას. 32 შემომწირველს, რომლებმაც 2024 წლის 1 იანვრიდან 4 ოქტომბრამდე პერიოდში „ქართულ ოცნებას” 1.6 მლნ ლარი შესწირეს, „აწარმოე საქართველოდან“ 7.4 მლნ ლარი აქვს მიღებული. ყველაზე მეტი თანხა - 1,154,745 ლარი შპს „ნოვას“ აქვს მიღებული.

[12] *„აწარმოე საქართველოში“ დაფინანსებული კომპანიების სიას მალავს,* „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო”, 21.06.2024, https://bit.ly/3NwnCL1

სახელმწიფო დაფინანსების მიღების კიდევ ერთი მსხვილი წყაროა სოფლის მეურნეობის სუბსიდირებისთვის არსებული აგროპროექტები. ვინც საანგარიშო პერიოდში „ქართულ ოცნებას“ თანხა შესწირა, მათგან 51-ს 2014-2023 წლებში აგროპროექტებიდან 71 მლნ ლარის სუბსიდია აქვთ მიღებული. სანაცვლოდ, იგივე პირებმა აღნიშნულ წლებში მმართველ პარტიას 7.7 მლნ ლარი შესწირეს, საიდანაც 2 მლნ ლარი 2024 წლის 1 იანვრიდან 4 ოქტომბრამდე პერიოდში იქნა შეწირული. აღნიშნული 51 ბენეფიციარიდან 54 მლნ ლარის სუბსიდია 10 მსხვილ ბიზნეს ჯგუფზე მოდის (ცხრილი 4). ყველაზე მეტი თანხა მეღვინეებმა - ზურაბ და ალექსანდრე ჩხაიძეების კომპანიებმა მიიღეს - 16 მლნ ლარი. მათ „ქართული ოცნებისთვის“ 320,000 ლარი აქვთ შეწირული. მეორე ადგილზეც მსხვილი მეღვინეები არიან: შპს Bolero & Company-ს, შპს „საქართველოს სპირტსახდელების გაერთიანების“ დირექტორები დავით ბოჭორიშვილი და ირაკლი ბექაური. აღნიშნული ორი კომპანიის მფლობელი ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილის, უჩა მამაცაშვილის ბიზნეს პარტნიორი ვახტანგ კარიჭაშვილია. კომპანიებმა ბიუჯეტიდან 10 მლნ ლარამდე სუბსიდია მიიღეს. სუბსიდიის სიდიდით (7 მლნ ლარი) მე-4 ადგილზე შპს „დუგლაძეების ღვინის კომპანია“ და შპს „აისი ინკ“ არიან. ამ კომპანიებში წილებს ბიძინა ივანიშვილის ძმა და „ქართული ოცნების“ დეპუტატის ზაალ დუგლაძის ძმა ფლობენ. მათ პარტიისთვის ჯამში 662,000 ლარი აქვთ შეწირული.

ცხრილი 4. „ქართული ოცნების“ შემომწირველები რომლებმაც აგროპროექტებიდან ყველაზე მეტი სუბსიდია მიიღეს, ლარი

შემომწირველი	2014- 2024 წლებში აგროპროექტებიდან მიღებული თანხა	კომპანია	2024 წელს შეწირული თანხა	2013-2024 წლებში შეწირული თანხა
ზურაბ და ალექსანდრე ჩხაიძეები	16,067,602	შპს კახური ტრადიციული მეღვინეობა, შპს გურჯაანი აგრო და სხვა 10 კომპანია	80,000	320,000
დავით ბოჭორიშვილი, ირაკლი ბექაური	9,944,179	შპს Bolero & Company, შპს საქართველოს სპირტსახდელების გაერთიანება	87,000	347,000
გიორგი ბოლოთაური	8,717,429	შპს მილადა ინტერნეშინელ, შპს GVMT Group	5,000	16,000
ალექსანდრე ივანიშვილი, დავით დუგლაძე	7,029,666	შპს დუგლაძეების ღვინის კომპანია, შპს აისი ინკ	120,000	662,000
გიორგი ინგოროყვა	4,640,900	შპს მარეული, შპს ინგოროყვა ვაინს ენდ სპირიტს და სხვა 7 კომპანია	25,000	85000
დავით წიწილაშვილი	1,777,422	შპს ზღვის პროდუქტები, შპს ესპერანსი	60,000	300,000

მუხრანი ბაგრატიონი, ზურაბ დუმბაძე	1,723,950	შპს ტარიბანული ზეთისხილი, შპს ოკრიბა, შპს აჭარა აგროჯგუფი	115,000	405,000
ბაკური მიტიჩაშვილი, კახაბერ მამანიშვილი	1,640,823	შპს შატო მუკუზანი	76,000	76,000
ლევან ნეკრესელაშვილი, ვაჟა ციგროშვილი	1,559,251	შპს მარნისკარი, შპს შატო ნეკრესი	64,000	434,000
დავით ბალანჩივაძე	1,368,981	შპს ბლუ გოლდ, შპს აგროშელი	57,000	472,000

3. საარჩევნო სუბიექტების მიერ გაწეული ხარჯები

3.1. საარჩევნო სუბიექტების მიერ გაწეული ხარჯების მიმოხილვა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ შესწავლილმა სუბიექტებმა საანგარიშო პერიოდში სულ 25,395,668 ლარის ოდენობის ხარჯი გასწიეს, რომლის 53% - 13,372,215 ლარი „ქართული ოცნებაზე” მოდიოდა. 5,366,644 ლარის ხარჯით მეორე ადგილზე იყო „კოალიცია ცვლილებებისთვის”, მესამეზე კი - „ძლიერი საქართველო“ 5,016,808 ლარით (იხილეთ დიაგრამა 6).

დიაგრამა 6. საარჩევნო სუბიექტების მიერ გაწეული მთლიანი ხარჯები (27 აგვისტო - 7 ოქტომბერი), ₾



სხვა წლების საარჩევნო კამპანიების მსგავსად, საარჩევნო სუბიექტებმა ყველაზე დიდი თანხა ა) რეკლამაზე, ბ) იჯარის და ოფისის და გ) შრომის ანაზღაურების ხარჯებზე გაიღეს. უფრო კონკრეტულად, საარჩევნო სუბიექტების მთლიანი ხარჯების 79% რეკლამაზე (17,703,745 ლარი) მოდიოდა. სხვა კატეგორიებიდან ყველაზე მსხვილი იყო იჯარის ხარჯი (მთლიანი ხარჯების 6%) და შრომის ანაზღაურება (3%) (იხილეთ დიაგრამა 7).

დიაგრამა 7. საარჩევნო სუბიექტების მიერ გაწეული ხარჯები ძირითადი კატეგორიების მიხედვით (27 აგვისტო - 7 ოქტომბერი), ₾, %



3.2. რეკლამის ხარჯები

როგორც უკვე აღინიშნა, საანგარიშო პერიოდში საარჩევნო სუბიექტებმა საარჩევნო რეკლამაზე ჯამურად 17,703,745 ლარი დახარჯეს. რეკლამაზე ყველაზე მეტი - 8,334,889 ლარი „ქართულმა ოცნება - დემოკრატიულმა საქართველომ“ დახარჯა, რაც შესწავლილი საარჩევნო სუბიექტის ჯამური სარეკლამო ხარჯის 47%-ს წარმოადგენს. მეორე ადგილზე პარტია „ძლიერი საქართველოა“ 4,488,711 ლარით, ხოლო მესამეზე – „კოალიცია ცვლილებებისთვის“ 4,119,056 ლარით (იხილეთ დიაგრამა 8).

დიაგრამა 8. საარჩევნო სუბიექტების მიერ რეკლამაში გაწეული ხარჯები (27 აგვისტო - 7 ოქტომბერი), ₾



რაც შეეხება რეკლამის კატეგორიებს, 27 აგვისტოდან 7 ოქტომბრის ჩათვლით ყველაზე დიდი თანხა - თითქმის 8 მილიონი ლარი გარე რეკლამაზე დაიხარჯა (მთლიანი სარეკლამო ხარჯის 45%). თუმცა, ამ ხარჯის დიდი ნაწილი „ქართული ოცნების“ გაღებულია, გარე რეკლამების ხარჯების 74% მასზე მოდიოდა (5,940,678 ლარი). 6,799,592 ლარი დაიხარჯა სატელევიზიო რეკლამაში, რაც მთლიანი ხარჯების 39%-ს წარმოადგენს (იხილეთ დიაგრამა 9).

დიაგრამა 9. საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო რეკლამაზე ჯამურად გაწეული ხარჯების რეკლამის სახეობების მიხედვით, (27 აგვისტო - 7 ოქტომბერი), ₾, %-ული წილი



3.3. სხვა ხარჯები

ამ ქვეთავში მიმოვიხილავთ იმ პარტიების ხარჯებს, რომლებსაც დაუჯგუფებელ ხარჯებში ყველაზე მსხვილი თანხები ჰქონდათ მითითებული. ასეთ ხარჯებში ძირითადად ექცევა პარტიის ისეთი გასავალი, რომელიც დეკლარაციაში მითითებულია „სხვადასხვა ხარჯების“ და „სხვა დანარჩენი საქონლის და მომსახურების“ კატეგორიაში. ასეთი დაუჯგუფებელი ხარჯების ჯამი ყველა პარტიისთვის დაახლოებით 2 მლნ ლარს შეადგენდა.

„ქართული ოცნების“, ფინანსური დეკლარაციის თანახმად „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ კატეგორიაში არსებული ხარჯები 1,3 მილიონ ლარს შეადგენს, რომელიც ამ პარტიას დაკონკრეტებული აქვს, როგორც „ღონისძიებების ხარჯი“ და ამ მიზნობრიობით საანგარიშო პერიოდში მითითებული აქვს 1,343,791 ლარის ოდენობის ხარჯი. დანარჩენი კატეგორიები - “ფოტო და სხვა მასალის ხარჯი” (2,572 ლარი) და საპენსიო 2%-ის ხარჯი (2,294), ღონისძიებების ხარჯებთან შედარებით, უმნიშვნელო მონაცემებს მოიცავს. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ კატეგორიის “ღონისძიებების ხარჯებით“ დაკონკრეტება დამატებით გამჭვირვალობას არ სძენს ამ კატეგორიას და დეკლარაციაში უფრო დეტალურად უნდა იყოს გაწერილი ამ ხარჯების კლასიფიკაცია თავისი ბუნებისა და შინაარსის მიხედვით.

„კოალიცია ცვლილებებისთვის“ პარტიის „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ კატეგორიაში არსებული ხარჯები 227 ათას ლარს შეადგენს, რომელიც შემდეგ ამ პარტიას დაკონკრეტებული აქვს უფრო წვრილ კატეგორიებად. მაგალითად, 7000 მაისურის შეძენა (49,490 ლარი), დამატებითი შეთანხმება იჯარაზე (22,080 ლარი), შეთანხმება მუსიკალური ნაწარმოების გამოყენების შესახებ (19,312 ლარი) და ა.შ.

პარტიას **„ახალი პოლიტიკური ცენტრი” (გირჩი)** „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ კატეგორიაში 130,000 ლარამდე არსებული ხარჯები აქვს დეკლარირებული, რომელიც დაკონკრეტებული აქვს სხვა წვრილ კატეგორიებად: პრომო საფასური მეორე ნაწილი (24,783), პინების, მაისურების, ჭიქების ბრენდბუქი (15,000), დიჯიტალ მარკეტინგის მომსახურება ოქტომბერი (15,000) და ა.შ.

4. ფინანსების გამჭვირვალობა და მათზე ზედამხედველობა

საქართველოს კანონმდებლობით, პოლიტიკური დაფინანსების კანონიერებასა და გამჭვირვალობაზე მონიტორინგის მანდატი ანტიკორუფციულ ბიუროს აქვს მინიჭებული. იგი ახორციელებს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

როგორც უკვე აღინიშნა, არჩევნების დანიშვნის დღიდან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი/ საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია ანტიკორუფციულ ბიუროს სამ კვირაში ერთხელ წარუდგინოს ფინანსურ ანგარიში დადგენილი ფორმით. გარდა ამისა, საარჩევნო სუბიექტები გარკვეული პერიოდულობით წარადგენენ შუალედურ შემაჯამებელ ანგარიშებს, ხოლო არჩევნების შედეგების გამოცხადების დღიდან 30 დღის ვადაში მათ საარჩევნო კამპანიის საბოლოო შემაჯამებელი ანგარიშის წარდგენის ვალდებულება აქვთ.

4.1. ანტიკორუფციული ბიუროსათვის დამატებითი უფლებამოსილებების მინიჭება

2024 წლის ზაფხულში ხელისუფლებამ რამდენიმე ცვლილება შეიტანა “მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში, რითაც ანტიკორუფციულ ბიუროს, პოლიტიკური პარტიებისა და სხვა პირების წინააღმდეგ, რომლებზეც შეიძლება გავრცელდეს აღნიშნული ორგანული კანონის მოქმედება, დამატებითი უფლებამოსილებები მიანიჭა.[13]

ორგანულ კანონს დაემატა 24[1] მუხლი, რომლის თანახმად, თუ პარტია ანტიკორუფციულ ბიუროს ზედიზედ 2 კალენდარული წლის განმავლობაში არ წარუდგენს ამ კანონით გათვალისწინებულ საფინანსო დეკლარაციას ან მის მიერ ზედიზედ 2 კალენდარული წლის განმავლობაში წარდგენილ ყველა ასეთ საფინანსო დეკლარაციაში ასახული ყველა შემოსავალი და ხარჯი ნულის ტოლია, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის მიმართვის საფუძველზე აუქმებს აღნიშნული პარტიის რეგისტრაციას, ხოლო, რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ ამ პარტიის დარჩენილი ქონება გადაეცემა სახელმწიფო ხაზინას.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ანტიკორუფციულ ბიუროს უფროსის მიმართვით პარტიის რეგისტრაციის გაუქმება ნიშნავს მის ლიკვიდაციას, აკრძალვას. საქართველოს კონსტიტუცია ამომწურავად ადგენს პარტიის გაუქმების საფუძველსა და წესს (23-ე მუხლი), რომლის მიხედვითაც პარტიის გაუქმება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია, თანაც ისეთ შემთხვევებში, როდესაც პარტიის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან როდესაც პარტია ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს შუღლს. შესაბამისად, პარტიის გაუქმება ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით, რომლის საფუძველიც ფინანსური დეკლარაციის წარმოუდგენლობაა, დაუშვებელია, რადგან ის როგორც ფორმით აგრეთვე შინაარსით ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

ორგანული კანონის 34[1] მუხლს დაემატა 2[1] პუნქტი, რომლის თანახმად, ანტიკორუფციულ ბიუროს, პარტიის ან განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის მიზნით, მიენიჭა უფლებამოსილება, განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები: ა) ფიზიკური პირის გამოკითხვა ამ კანონით დადგენილი წესით; ბ) ფიზიკური პირის მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით; გ) საჯარო დაწესებულებისგან, ფიზიკური პირისგან, იურიდიული პირისგან (მათ შორის, საგადახდო მომსახურების პროვაიდერისგან), სხვა სუბიექტისგან საჭირო ინფორმაციის, მათ შორის,

[13] „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე | სსიპ ”საქართველოს საკანონმდებლო მაცნე” (matsne.gov.ge). https://new.matsne.gov.ge/ka/document/view/6179745?publication=0

განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემის, სხვა პერსონალური მონაცემისა და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაციის, გამოთხოვა.

34[1] მუხლის 2[1] პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება აშკარად გამოძახილია იმ არაპროპორციული და რეპრესიული უფლებამოსილებისა, რომელიც "რუსულმა კანონმა" მე-8 მუხლით იუსტიციის სამინისტროს მიანიჭა.[14] როგორც ქვემოთ, III თავის პირველ ქვეთავშია აღწერილი, ანტიკორუფციული ბიურო უკვე 2024 წლის სექტემბერში შეეცადა ამ უფლებამოსილების მმართველი პარტიის სასარგებლოდ გამოყენებას.

იმავე მუხლის მე-4 პუნქტის ახალი რედაქციით, 2[1] პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ იმ ინფორმაციას, რომელიც საჯარო ინფორმაციას არ მიეკუთვნება, ანტიკორუფციული ბიურო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გამოითხოვს. ამ მიზნით ანტიკორუფციული ბიურო სასამართლოს წარუდგენს მიმართვას თავისი ადგილსამყოფლის მიხედვით.

იმავე მუხლის მე-5 პუნქტით, ყველა სუბიექტი, რომლებსაც ანტიკორუფციული ბიურო მოსთხოვს ამ კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია. ამ ვალდებულების დარღვევას, 34[2] მუხლის მე-5 პუნქტის ახალი რედაქციით, შედეგად მოჰყვება გაფრთხილება ან ფიზიკური პირის დაჯარიმება 1 000 ლარით, კვალიფიციური პარტიის დაჯარიმება 5 000 ლარით, სხვა სუბიექტის დაჯარიმება 2 000 ლარით. იმავე 34[2] მუხლის 5[1] პუნქტით, ანტიკორუფციული ბიუროს მიერ ფიზიკური პირის გამოკითხვისას ან ანტიკორუფციული ბიუროს შუამდგომლობის საფუძველზე ფიზიკური პირის მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვისას აღნიშნული პირის მიერ ცრუ ინფორმაციის მიწოდება გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარით.

4.2. ანტიკორუფციული ბიუროს საზედამხედველო საქმიანობა

მას შემდეგ, რაც პარტიების ზედამხედველობა ანტიკორუფციული ბიუროს მანდატი გახდა, პოლიტიკური ფინანსების ზედამხედველობის მიმართულებით სტანდარტები სულ უფრო უარესდება, არსებობს სერიოზული კითხვები მის დამოუკიდებლობასთან და პოლიტიკურ ნეიტრალიტეტთან დაკავშირებით.

4.2.1. ანტიკორუფციული ბიურო სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ

2024 წლის 24 სექტემბერს ანტიკორუფციული ბიუროს უფროსმა - რაჟდენ კუპრაშვილმა გამოსცა გადაწყვეტილება "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" და მისი აღმასრულებელი დირექტორის - ეკა გიგაურის მიმართ[15], რომლითაც ორგანიზაციაც და მისი ხელმძღვანელიც ცნობილ იქნენ "განცხადებული საარჩევნო მიზნების" მქონე სუბიექტებად და, მაშასადამე, დაექვემდებარნენ ზემოაღნიშნული ორგანული კანონის III თავით დადგენილ შეზღუდვებს.

ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 26[1] მუხლის მე-6 პუნქტის გამოყენებისგან თავის არიდებისა და იმავე ორგანული კანონის 7[1] მუხლისა და 26[1] მუხლის პირველი პუნქტის არასწორი და თვითნებური განმარტების საფუძველზე.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" და ეკა გიგაურის მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებაში ფაქტობრივ საფუძვლებად ბიუროს უფროსმა მიუთითა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორის განცხადებებზე, რომლებითაც იგი არასამთავრობო სექტორის მიერ ამომრჩეველთა საინფორმაციო კამპანიის წამოწყებას აანონსებდა: „ამას ექნება ვრცელი და მასიური ხასიათი წინასაარჩევნოდ. ჩვენ ვგეგმავთ, რომ

[14] იხ. ზემოთ ამ თავის პირველი ქვეთავი.

[15] ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2024 წლის 24 სექტემბრის N03/028-24 გადაწყვეტილება, https://bit.ly/4gHyDGs

ყველა მოქალაქემდე მივიდეთ, ერთი მხრივ, იმით, რომ გავაგებინოთ მათ რა არის ეს არჩევნები, რომ ეს არის არჩევანი რუსეთსა და ევროპას შორის და ამაზე უნდა იფიქრონ მათ და მეორე, რამდენად მნიშვნელოვანია მათი მისვლა არჩევნებზე."[16] ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის მიერ მოყვანილი სხვა ფაქტობრივი გარემოებებიც დაახლოებით ასეთივე შინაარსისაა.

ასეთი განცხადება სხვა არაფერია, თუ არა მისი ავტორის საქმიანობა გამოხატვის თავისუფლებისა და სამოქალაქო აქტივობის განხორციელების ფარგლებში. შესაბამისად, სანამ გადაწყვეტილებას გამოიტანდა, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი ვალდებული იყო ეხელმძღვანელა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 26^1 მუხლის მე-6 პუნქტით და დაედგინა, რომ ასეთი საქმიანობა არ შეიძლება ჩაითვალოს მოსარჩელეებზე ზემოაღნიშნული ორგანული კანონის III თავით დადგენილი შეზღუდების გავრცელების საფუძვლად. თუმცა, ანტიკორუფციულმა ბიუროს უფროსმა ორგანული კანონის ზემოაღნიშნულ ნორმაზე საერთოდ არც იმსჯელა.

გარდა ამისა, ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში ანტიკორუფციულმა ბიუროს უფროსმა თვითნებურად განმარტა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 7^1 მუხლისა და 26^1 მუხლის პირველი პუნქტის ნორმები.

კერძოდ, აღნიშნული ორგანული კანონის 26^1 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „პარტიისთვის ამ თავით დადგენილი შეზღუდვები ვრცელდება პირზე, რომელსაც თავად აქვს განცხადებული საარჩევნო მიზნები და რომელიც ამ მიზნების მისაღწევად შესაბამის ფინანსურ და სხვა მატერიალურ რესურსებს იყენებს."

იმავე ორგანული კანონის 7^1 მუხლი განმარტავს „განცხადებულ საარჩევნო მიზანს": „განცხადებული საარჩევნო მიზანი ის ფაქტობრივი გარემოებაა, როდესაც იკვეთება კონკრეტული პირის არჩევნებში მონაწილეობის გზით ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი. განცხადება გაკეთებული უნდა იყოს საჯაროდ და მიმართული უნდა იყოს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისკენ."

აღნიშნული ნორმების ანალიზის შედეგად, იმისათვის, რომ პირის მიმართ ორგანული კანონის III თავით დადგენილი შეზღუდები გავრცელდეს, ამისათვის ამ პირს: 1) უნდა ჰქონდეს განცხადებული საარჩევნო მიზნები; და 2) ამ მიზნების მისაღწევად შესაბამის ფინანსურ და სხვა მატერიალურ რესურსებს უნდა იყენებდეს. თავის მხრივ, განცხადებული საარჩევნო მიზანი არსებობს იმ შემთხვევაში, თუ: 1) პირს აქვს არჩევნებში მონაწილეობის გზით ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი; 2) ამ სურვილის შესახებ მას განცხადება საჯაროდ აქვს განცხადებული; და 3) თუ ასეთი განცხადება საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისკენ არის მიმართული.

შესაბამისად, ანტიკორუფციულ ბიუროს უფროსს, სანამ გადაწყვეტილებას გამოიტანდა, უნდა დაედგინა, არსებობდა თუ არა ორგანული კანონის 7^1 მუხლით გათვალისწინებული სამივე გარემოება და, თუ ჩათვლიდა, რომ არსებობდა, რაც ავტომატურად 26^1 მუხლის პირველი პუნქტის პირველი გარემოების არსებობის დამადასტურებელიც იქნებოდა, უნდა დაედგინა, არსებობდა თუ არა 26^1 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მეორე გარემოებაც.

მაგრამ ანტიკორუფციული ბიურო ამ კანონიერი გზით არ წავიდა, რადგან ბუნებაში არ არსებობს, მაგალითად „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" ან/და მისი აღმასრულებელი დირექტორის ეკა გიგაურის მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადება, რომ ზემოაღნიშნულ ორგანიზაციას ან/და ფიზიკურ პირს არჩევნებში მონაწილეობის გზით ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი ჰქონდათ. შესაბამისად, თუ ორგანული კანონის აღნიშნული ნორმებით იხელმძღვანელებდა, ანალიზის პირველივე ეტაპზე ანტიკორუფციულ ბიუროს ჩაკეტილი ექნებოდა გზა იმისათვის, რომ გამოეტანა გადაწყვეტილება „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" და ეკა გიგაურის მიმართ ორგანული კანონის III თავით დადგენილი შეზღუდების გამოყენების თაობაზე

ამიტომაც ანტიკორუფციული ბიუროს უფრომა უბრალოდ თვითნებურად გადააკეთა ორგანული კანონის 7^1 მუხლისა და 26^1 მუხლის პირველი პუნქტის ნორმები. მან ჯერ აღნიშნული ნორმიდან

[16] ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2024 წლის 24 სექტემბრის N03/028-24 გადაწყვეტილება, პ. 8.

გააქრო „განცხადებული საარჩევნო მიზანი, როგორც ფაქტობრივი გარემოებაა, როდესაც იკვეთება კონკრეტული პირის არჩევნებში მონაწილეობის გზით ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი“; შემდეგ დაადგინა, რომ განცხადებული საარჩევნო მიზანი იმ შემთხვევაშიც არსებობს, როდესაც ადგილი აქვს სხვა პოლიტიკური პარტიის წინააღმდეგ პოლიტიკური კამპანიის წარმოებას და ამ გზით საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე გავლენის მოხდენას; დაბოლოს, გააქრო ტერმინი „განცხადებული საარჩევნო მიზანიც“ და იგი შეცვალა ტერმინით „პოლიტიკური მიზანი“, რომლის არსებობისთვის, ბიუროს უფროსის განმარტებით, საკმარისია კონკრეტული პოლიტიკური პარტიის დამარცხების „ინტერესის და იმედის გაღვივება“.[17] ორგანული კანონის ნორმების ასეთი თვითნებური გადაკეთებით, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსმა დაარღვია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით კანონშემოქმედებასთან დაკავშირებით დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი.

ასევე თვითნებურია ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის „განმარტებები“ ორგანული კანონის 26^1 მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებით. ამის თაობაზე მის გადაწყვეტილებაში “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” და ეკა გიგაურის მიმართ ვკითხულობთ: „განსხვავებით მე-7^1 მუხლისგან, 26^1-ე მუხლის 1-ლ პუნქტში „და“ კავშირი არ უნდა ჩაითვალოს კუმულაციურ მოთხოვნად. სწორედ ამ მიზნით არის ნახსენები სიტყვები „და სხვა“. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი პირი არ გამოიყენებს ფინანსურ რესურსებს და, მაგალითად, საკუთარი პირადი ან ირიბი ჩართულობით ხელს შეუწყობს საარჩევნი მიზნის მიღწევას, 26^1-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა შესრულებულად უნდა ჩაითვალოს“. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც ადგილი ჰქონდა კანონშემოქმედებასთან დაკავშირებით სახელმწიფოში არსებული სამართლებრივი რეჟიმის დარღვევას და კანონის ნორმის თვითნებურ გადაკეთებას - კუმულაციური პირობების ალტერნატიულ პირობებად გარდაქმნას და ერთი პირობის სხვა პირობით შეცვლას.

2024 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ “სამართლებრივი” თვალსაზრისით მოუწონა ანტიკორუფციული ბიუროს უფროსს მიღებული გადაწყვეტილებები, მაგრამ “მიზანშეწონილობის” მოსაზრებით, მოუწოდა მას, გაეუქმებინა ისინი.[18]

მეორე დღეს, 2 ოქტომბერს, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსმა, სპეციალურად მოწყობილ ბრიფინგზე განაცხადა, რომ აუქმებდა “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” და მისი აღმასრულებელი დირექტორის, აგრეთვე “აირჩიე ევროპის” და მისი წარმომადგენლების მიმართ 2024 წლის 24 სექტემბერს მიღებული გადაწყვეტილებებს.[19]

მიუხედავად იმისა, რომ ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის ასეთი გადაწყვეტილება სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი იყო, ის კიდევ ერთხელ ადასტურებს გონივრულ ეჭვს, რომ ანტიკორუფციული ბიურო არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ინსტიტუტს და ის მხოლოდ ხელისუფლების უმაღლესი, ფორმალური თუ არაფორმალური, წარმომადგენლების სურვილების შემსრულებელი ორგანოა.

4.2.2. ანტიკორუფციული ბიუროს მიერ განხორციელებული ზედამხედველობის გამჭვირვალობა

პოლიტიკურ პარტიებზე ანტიკორუფციული ბიუროს მიერ განხორციელებული ზედამხედველობის გამჭვირვალობის სტანდარტის გაუარესაბასთან დაკავშირებით „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდის დაწყებამდე გამოთქვამდა შეშფოთებას. 2024 წლის ივნისში გამოქვეყნებულ ანგარიშში ხაზს ვუსვამდით, რომ მას შემდეგ, რაც პარტიების ზედამხედველობა ბიუროს მანდატი გახდა, პოლიტიკური ფინანსების ზედამხედველობის მიმართულებით საქმიანობაზე ინფორმაციის მოპოვება გართულებულია. გამოთხოვილ ინფორმაციაზე პასუხები არასრული და ფორმალისტურია, ხდება მითითება ვებ-გვერდზე, მაშინ,

---

[17] იქვე, პპ. 20-24.

[18] რადიო თავისუფლება, “კობახიძე მიზანშეწონილად მიიჩნევს TI-ის მოეხსნას აინტიკორუფციული ბიურის მიერ მინიჭებული სტატუსი”, 1 ოქტომბერი 2024 წ., https://www.radiotavisupleba.ge/a/33142075.html.

[19] რადიო თავისუფლება, “რაჟდენ კუპრაშვილი აუქმებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ შესახებ მიღებულ თავისსავე გადაწყვეტილებას”, 2 ოქტომბერი 2024 წ., https://www.radiotavisupleba.ge/a/33143057.html; რადიო თავისუფლება, “რაჟდენ კუპრაშვილმა „აირჩიე ევროპასთან“ დაკავშირებული გადაწყვეტილებაც გააუქმა”, 2 ოქტომბერი, 2024 წ., https://www.radiotavisupleba.ge/a/33143151.html.

როდესაც გამოთხოვილი ინფორმაცია იქ არ არის განთავსებული.[20] აგრეთვე, სრულიად ბუნდოვანი იყო ბიუროს მიერ პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის კავშირებთან დაკავშირებით წარმოების დაწყების სამართლებრივი საფუძვლები.[21] მაშინ ანტიკორუფციულმა ბიურომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ საქმის წარმოებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მიწოდებაზე უარი უთხრა. დამატებითი სიცხადე ამ საკითხთან დაკავშირებით დღესაც არ არსებობს.

აღსანიშნავია, რომ ანტიკორუფციულ ბიუროს წინასაარჩევნო პერიოდში განხორციელებული მონიტორინგის შუალედური ანგარიში დღემდე არ გამოუქვეყნებია. გაუარესდა პოლიტიკური პარტიების სამკვირიანი დეკლარაციის გამოქვეყნების სტანდარტიც, ანტიკორუფციულმა ბიურომ უარი თქვა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დანერგილ კარგ პრაქტიკაზე და პარტიის მიერ წარდგენილი დოკუმენტები დასკანირებულ ვერსიასთან ერთად დამუშავებად ფორმატში აღარ გამოაქვეყნა, რითიც გაართულა მისი ანალიზი.

[20] *პოლიტიკური პარტიების დაფინანსება საქართველოში 2023 წელს,* „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 28.06.2024, გვ. 36, https://bit.ly/3YuxkDE

[21] იქვე.